

<p align="center"> <b>- განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები</b>  <b>- მოსწავლეების მიერ საკითხის გაგების შესამოწმებელი ტექნიკები</b> </p>	
<b>1. მანიშნებელი ბარათები/ შეკითხვები</b>	პერიოდულად დაარიგეთ ბარათები და თხოვეთ მოსწავლეებს ორივე მხარეს დაწეროს შემდეგი რამ: ერთ გვერდზე შეაჯამონ რამდენიმე სიტყვით დიდი და მნიშვნელოვანი იდეა, რომელიც გავლილი თავიდან/თემიდან გაიგეს. მეორე გვერდზე შეკითხვის ან წინადადების ფორმით დაწერონ ერთი რამ, რომელიც გავლილი თავიდან/თემიდან ბოლომდე ვერ გაიგეს.
<b>2. მანიშნებლები ხელით</b>	თხოვეთ მოსწავლეებს წინასწარ შეთანხმებული ხელის ნიშნებით აჩვენონ, რამდენად გაიგეს კონცეპტია, პრინციპი ან პროცესი, რომელსაც ხსნიან: მე მესმის _____ და შემიძლია ავხსნა (მაგ. ცერა თითის აწევით). ვერ გავიგე _____ (მაგ. ცერა თითის დაბლა დაწევით). ბოლომდე დარწმუნებული არ ვარ _____ (მაგ. ხელის ტალღოვნად გამოძრავება).
<b>3. ერთ წუთიანი ესსე</b>	ესსეს შეკითხვა არის მაფოკუსირებული კითხვა, რომელზე პასუხიც მოსწავლეს შეუძლია ერთ ან რამდენიმე წუთში გასცეს.
<b>4. ანალოგიები</b>	თხოვეთ მოსწავლეებს მოიფიქრონ წარმოდგენილი კონცეპტის, პრინციპის ან პროცესის ანალოგია. მაგალითად ეს კონცეპტი/პრინციპი.პროცესი გავს----- რადგან-----
<b>5. კონცეპტუალური რუკა</b>	მრავალი სხვადასხვანაირი გრაფიკული რუკა, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს გაიაზროს, რა კავშირი აქვს სხვადასხვა კონცეფციას ერთმანეთთან დიაგრამის საშუალებით, რომლებზეც გამოსახავს კონცეფციის დამახასიათებელ ძირითად სიტყვებს.
<b>6. მცდარი წარმოდგენების შემოწმება</b>	წარუდგინეთ მოსწავლეებს ყველაზე ხშირი მცდარი წარმოდგენა კონცეფციის, პრინციპის ან პროცესის შესახებ. კითხეთ მათ, ეთანხმებიან თუ არა ამ წარმოდგენას და რატომ. მცდარი წარმოდგენების შემოწმება ასევე შეიძლება მრავალ პასუხიანი (სწორია/არასწორია) ქვიზის საშუალებით.
<b>7. მოსწავლესთან ინდივიდუალური შეხვედრა</b>	ინდივიდუალურ საუბარი მოსწავლესთან, რათა შევამოწმოთ საკითხის მისეული გაგების დონე.
<b>8. 3 წუთიანი პაუზა</b>	სამ წუთიანი პაუზა მოსწავლეს საშუალებას აძლევს გაჩერდეს, გაიაზროს კონცეფცია ან იდეა, რომელიც მას აუხსენით, დაუკავშიროს წარსულ ცოდნას ან გამოცდილებას. <ul style="list-style-type: none"> <li>• შევიცვალე ჩემი წარმოდგენა ---- შესახებ</li> <li>• გავიგე, რომ-----</li> <li>• გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ ----</li> <li>• ვიგრძენი, რომ ----</li> </ul>
<b>9. დაკვირვება</b>	იარეთ კლასში, მაშინ როცა მოსწავლეები მუშაობენ, რათა მათი გაგების დონე შეამოწმოთ.
<b>10. თვით-შეფასება</b>	პროცესი, რომლის დროსაც მოსწავლეები აგროვებენ ინფორმაციას საკუთარი სწავლა/სწავლების შესახებ, ანალიზს უკეთებენ როგორია მათი პროგრესი დასახული გეგმების მიღწევისას და გეგმავენ სამომავლო ნაბიჯებს.

<b>11. გასვლის ბარათები</b>	კლასიდან გასვლის ბარათები, რომლებზეც მოსწავლეები წერენ პასუხებს გაკვეთილის ბოლოს მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებზე.
<b>12. პორტფოლიო</b>	პროგრესის შემოწმება მოსწავლის პროფტოლიოს საშუალებით. პროფტოლიო არის მოსწავლის მნიშვნელოვანი ნამუშევრების ნაკრები, რომელსაც შეუძლია ინფორმაცია მოგვცეს მოსწავლის მიღწევების შესახებ წინასწარ განსაზღვრულ სფეროებში, მაგალითად, კითხვის, წერის, მათემატიკის მიმართულებით. პროფტოლიო ასევე მოიცავს მოსწავლის თვით-დაკვირვებასაც, იმის შესახებ, თუ რატომ აირჩია პორტფოლიოში მოთავსებული თითოეული მასალა და როგორ აჩვენებს ის მოსწავლის პროგრესს.
<b>13. ქვიზი</b>	რამდენიმე კითხვიანი ქვიზი, სწორი/არასწორი, მოკლე პასუხი, ერთმანეთთან დაკავშირება და ა.შ.

<b>14. მოსწავლეების ჟურნალი</b>	მოსწავლეები ჟურნალში იწერენ, რა გაიგეს გაკვეთილზე შესწავლილი კონცეფციის/საკითხის შესახებ. მასწავლებელი განიხილავს მათ ჟურნალებს, რათა გაიგოს, რა გაიგეს მოსწავლეებმა ამ გაკვეთილიდან.
<b>15. გუნდური პასუხი</b>	მასწავლებლის შეკითხვას ყველა მოსწავლე ერთდროულად სიტყვიერად პასუხობს.
<b>16. A-B-C შეჯამება</b>	თითოეულ მოსწავლეს ენიჭება ანბანის ერთი ასო, რომელზეც უნდა მოიფიქრონ სიტყვა გაკვეთილზე განხილული საკითხის შესახებ.
<b>17. დებრიფინგი</b>	რეფლექსიის ფორმა, რომელიც დაუყოვნებლივ მოყვება აქტივობას.
<b>18. იდეების სპინერი</b>	მასწავლებელი აკეთებს სპინერს, ოთხი დანაყოფით: „ივარაუდე, ახსენი, შეაჯამე, შეაფასე“. მასალის წარდგენის შემდეგ მასწავლებელი ატრიალებს სპინერს და მოსწავლეებს თხოვს, შესაბამისი დავალება შეასრულონ. მაგალითად, თუ სპინერი შეჩერდა - „შეჯამებაზე“, მასწავლებელი მოსწავლეებს თხოვს „ჩამოთვალონ ის ძირითადი კონცეპტები, რომლებზეც გაკვეთილზე ისაუბრეს.“
<b>19. წრე</b>	შიდა და გარე წრე- მოსწავლეები ერთმანეთის პირისპირ დგანან. თითოეული წყვილი ერთმანეთს ეკითხება გაკვეთილთან დაკავშირებულ შეკითხვებს, რომლებიც წინასწარ დაწერეს. გარეთა წრე მოძრაობს, რათა ახალი წყვილები შედგეს.
<b>20. მკითხველთა თეატრი</b>	მითითებული ტექსტის მიხედვით მოსწავლეები ქმნიან სცენარს და დგამენ სპექტაკლს.
<b>21. ერთი წინადადებიანი შეჯამება</b>	მოსწავლეები წერენ შემაჯამებელ წინადადებას, რომელიც პასუხობს: „ვინ, რა, სად, როდის, როგორ, რატომ?“ საკითხის შესახებ.
<b>22. შემაჯამებელი ჩარჩოები</b>	აღწერა <u>შედარება</u> <u>პრობლემა/გადაჭრის გზა</u> <u>შედეგი -----</u>
<b>23. ერთსიტყვიანი შეჯამება</b>	მოსწავლეები ირჩევენ, ან თავად იგონებენ სიტყვას, რომელიც საუკეთესოდ აჯამებს საკითხს.
<b>24. იფიქრე/დაჯგუფდი/გააზიარე</b>	მასწავლებლის დასმულ შეკითხვებზე მოსწავლეები ინდივიდუალურ პასუხებს იგონებენ, რომელსაც შემდეგ უზიარებენ პარტნიორს. მასწავლებელი წყვილებს თხოვს გააზიარონ თავიანთი პასუხები.

<b>25. იფიქრე/დაწერე/დაწვრილდი/გააზიარე</b>	მოსწავლეები ფიქრობენ ინდივიდუალურად, წერენ პასუხებს, ჯგუფებიან და განიხილავენ მეწყვილესთან ერთად, რის შემდეგაც უზიარებენ კლასს.
<b>26. გამოკითხვა</b>	<p>რა სხვაობა/მსგავსებაა ---- და ---- შორის?  რა მანასიათებლები აქვს-----?  სხვა რა გზებით შეგვიძლია გამოვსახოთ, ვაჩვენოთ-----?  რა არის ძირითადი აზრი, კონცეფცია, მორალი -----?  როგორ შეესაბამება ეს საკითხი---  რა იდეების დამატება შეგიძლიათ-----?  მოიყვანეთ მაგალითი _____  რა დასკვნა შეგიძლია გამოვიტანოთ _____?  რა პრობლემის გადაჭრას ვცდილობთ?  რას ვარაუდობთ _____?  რა მოხდება თუ _____?  რა კრიტერიუმებს გამოიყენებდით _____ შესაფასებლად?  რომელი ფაქტები ადასტურებს _____?  როგორ შეგვიძლია დავამტკიცოთ/დავადასტუროთ _____?  როგორ შეგვიძლია განვიხილოთ ეს საკითხი _____ პერსპექტივიდან?  რა ალტერნატიული გზები შეიძლება დაგვესახა _____?  რა მიდგომა/სტრატეგია შეგიძლიათ გამოიყენოთ _____?</p>
<b>27. ოთხი კუთხე</b>	<p>მოსწავლე ირჩევს კუთხეს, რომელიც შეესაბამება მოცემული საკითხის მის მიერ გაგების დონეს.  კუთხე 1. ტალახიანი გზა - ვერ ვხედავ სად მივდივარ, გთხოვთ დამეხმარეთ  კუთხე 2. მოკირწყლული გზა - მეტ-ნაკლებად აღვივლია, თუმცა ბევრი ორმო მსვდება გზაზე  კუთხე 3. გზატკეცილი - მეტ-ნაკლებად თავდაჯერებული ვარ, თუმცა ხანდახან მსურს, რომ უფრო ნელა ვიარო.  კუთხე 4. საერთაშორისო მნიშვნელობის გზა - თავდაჯერებულად ვმოგზაურობ და შემიძლია, სხვებსაც ვასწავლო გზა.  პირველი კუთხის მოსწავლეები დაჯგუფდებიან მესამე კუთხის მოსწავლეებთან. ხოლო მეორე კუთხის მოსწავლეები მეოთხე კუთხის მოსწავლეებთან, რათა ერთმანეთს დაეხმარონ.</p>
<b>29. ყველაზე ტალახიანი (ყველაზე სუფთა) წერტილი</b>	ეს არის ერთ-წუთიანი დავალების ვარიაცია, რომლის დროსაც ცოტა უფრო მეტ დროს აძლევთ მოსწავლეებს კითხვაზე პასუხის გასაცემად. აქ მოსწავლეს ეკითხებით, რა იყო ყველაზე ტალახიანი/ყველაზე გაუგებარი საკითხი დღევანდელ გაკვეთილში? ან უფრო კონკრეტულად, რა არის გაუგებარი ტერმინში „ბუნებრივი გადარჩევა“, „ილენტობა“, „ინერცია“...
<b>30. 3-2-1</b>	<p>3 საკითხი, რომლის შესახებაც ახლა გაიგეთ  2 საინტერესო საკითხი  1 კითხვა, რომელიც ჯერ კიდევ გაქვთ</p> <p>3 სხვაობა ____  2 ფაქტი, რომელიც ___ აქვს ____ზე  1 კითხვა, რომელიც ჯერ კიდევ გაქვთ</p> <p>3 მნიშვნელოვანი ფაქტი  2 საინტერესო იდეა  1 მოსაზრება საკუთარი თავის შესახებ</p>

	<p>3 ძირითადი კითხვა 2 ახალი იდეა 1 საკითხი, რომელზეც მინდა ვიფიქრო</p> <p>დაწერეთ სამი შეკითხვა ტექსტის შესახებ (უცნობი სიტყვები, დამაბნეველი პასაჟები, იდეები). დაწერეთ ორი ვარაუდი ტექსტის შესახებ (რა მოხდება შემდეგში თქვენი აზრით). დააკავშირეთ ერთი საკითხი ტექსტთან (დააკავშირეთ რაიმე, რაც იცით ტექსტთან).</p>
--	---

<b>32. სწრაფი წერა</b>	თხოვეთ მოსწავლეებს 2-10 წუთის განმავლობაში უპასუხოს ღია შეკითხვებს
------------------------	--

<b>33. პერიფრაზი</b>	მოსწავლეები ერთი სიტყვის საშუალებით აჯამებენ ძირითად იდეას, რომელიც კლასში განიხილეს.
----------------------	---

<b>34. RSQC2</b>	ორ წუთში მოსწავლეები იხსენებენ და რანჟირებულად ალაგებენ მნიშვნელოვან იდეებს, რომლებიც განიხილეს წინა გაკვეთილზე. დამატებით ორ წუთში ისინი აჯამებენ ამ იდეებს ერთი წინადადებით, ამის შემდეგ წერენ ერთ მნიშვნელოვან შეკითხვას, რომელზეც სურთ პასუხის მიღება, ამის შემდეგ კი აღმოაჩენენ კავშირს განვლილ მასალასა და გაკვეთილის ძირითად მიზანთან.
------------------	---

<b>35. ჩარჩოები წერისთვის</b>	<p style="text-align: center;"><b>პრობლემა/გადაჭრის გზა</b></p> <p>_____ წარმოადგენს დილემას, რომელიც არის _____. პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ _____. პრობლემა წარმოიშვა იმიტომ, რომ _____ პრობლემის გადაჭრა შესაძლებელია, ამისათვის აუცილებელია _____. გადაჭრის გზები მოიცავს _____.</p> <p style="text-align: center;"><b>შედარება</b></p> <p>მრავალი სხვაობა არსებობს _____ და _____ შორის. _____ საპირისპიროდ- _____. _____ მსგავსად _____. მეორე მხრივ _____.</p> <p style="text-align: center;"><b>მიზეზ/შედეგობრივი კავშირი</b></p> <p>_____ დიდი გავლენა აქვს _____-ზე. მას შემდეგ, რაც _____ მოხდება, _____. აქედან გამომდინარე, _____. ეს ხსნის, თუ რატომ _____ _____ და _____ შედეგი არის ის, რომ _____.</p>
-------------------------------	--

<b>36. გადაწყვეტილებები</b>	მასწავლებელი მოსწავლეებს აწვდის სადისკუსიო საკითხს. მოსწავლეები განლაგდებიან იმ მხარეს, რომელიც შეესაბამება მათ მოსაზრებას ამ საკითხზე. მხარეები თავიანთ არგუმენტებს უზიარებენ ერთმანეთს. მოსწავლეებს შეუძლიათ შეიცვალონ მხარე დისკუსიის მსვლელობისას.
-----------------------------	--

<p><b>37. ლაიკერტის შკალა</b></p>	<p>წარმოადგინეთ 3-5 დებულება, რომლის შესახებაც შესაძლებელია დისკუსია. მიზანია, რომ მოსწავლეებმა ტექსტის შესახებ მოახდინონ რეფლექსია და ჩაერთონ დისკუსიაში. დებულებების შესახებ პასუხებს წიგნში ნათლად ვერ მოძებნიან. ისინი ეხმარება მოსწავლეებს ინფორმაციის ანალიზში, სინთეზსა და შეფასებაში. მაგალითად.</p> <p>1. ამ გმირს (სახელი) არ უნდა გაეკეთებინა ეს (ქმედება)</p> <hr/> <p>სავსებით ვეთანხმები ვეთანხმები არ ვეთანხმები სავსებით არ ვეთანხმები</p>
<p><b>38. მე მაქვს შეკითხვა. ვის აქვს პასუხი?</b></p>	<p>მასწავლებელი ამზადებს ორი განსხვავებული ტიპის ბარათს. პირველი მათგანი მოიცავს შესასწავლ საგანთან დაკავშირებულ კითხვებს, მეორე - პასუხებს. დაურიგეთ მოსწავლეებს პასუხების ბარათები და შერჩეულმა მოსწავლემ ან თავად თქვენ ხმამაღლა წაუკითხეთ კითხვები მთელ კლასს. მოსწავლეებმა პასუხების ბარათზე უნდა შეამოწმონ, აქვთ თუ არა კითხვებზე სწორი პასუხები. შემოწმების ჯაჭვურ აქტივობად გარდაქმნას ვარიაცია ეწოდება. შერჩეული მოსწავლე ჯაჭვის პირველი რგოლის როლს ასრულებს და მისთვის განკუთვნილ ბარათს ხმამაღლა კითხულობს. ამის შემდეგ ის ელოდება მოსწავლეს, რომლის ბარათზეც ერთადერთი სწორი პასუხია დატანილი. თამაში გრძელდება იქამდე, სანამ მოსწავლეები ყველა ბარათს წაიკითხავენ და ჯაჭვის სათავეში მყოფი მოსწავლე მზადაა, მომდევნო ბარათზე დატანილი ტექსტი წაიკითხოს.</p>
<p><b>39. Whip Around</b></p>	<p>მასწავლებელი კითხვას უსვამს ან დავალებას აძლევს მოსწავლეებს. ინდივიდუალურად მომუშავე მოსწავლეები ფურცელზე წერენ მინიმუმ სამ პასუხს/მტკიცებას/ნააზრევს. ამის შემდეგ ისინი ფეხზე დგებიან. მასწავლებელი შემთხვევითი პრინციპით იძახებს მოსწავლეს, რომელმაც ფურცელზე დატანილი იდეები დანარჩენ კლასს უნდა გაუზიაროს. მოსწავლეები ხაზავენ ყველა იმ პასუხს, რომელიც მათ მაგივრად რომელიმე სხვა მოსწავლემ უკვე გააჟღერა და, მას შემდეგ რაც ჯგუფს ყველა იდეას გაუზიარებენ (მნიშვნელობა არ აქვს, ეს იდეები მათ ეკუთვნით თუ სხვებს) თავიანთ ადგილებს იკავებენ. მასწავლებელი მოსწავლეთა დასახელებას განაგრძობს იქამდე, სანამ ყველა მოსწავლე არ დაიკავებს კუთვნილ ადგილს. იდეებისა და ინფორმაციების მოსმენისას მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს, რამდენად დამაკმაყოფილებელია გააზრების დონე მოსწავლეებში და სახეზეა თუ არა ჩავარდნები ამა თუ იმ მოსწავლის ნააზრევში.</p>
<p><b>40. სიტყვების დახარისხება</b></p>	<p>ლექსიკურ ტერმინებს მოსწავლეები მოცემული კატეგორიების მიხედვით ახარისხებენ ან თავად ქმნიან ამგვარ კატეგორიებს.</p>
<p><b>41. სამკუთხა პრიზმა (წითელი, ყვითელი, მწვანე)</b></p>	<p>მოსწავლეები უკუკავშირს თავიანთი გააზრების დონის შესაბამისი ფერების მასწავლებლისთვის გადაცემით ამყარებენ</p>
<p><b>42. აიღე და გადაეცი</b></p>	<p>„აიღე და გადაეცი“ კოოპერაციაზე ორიენტირებული ჯგუფური აქტივობაა, რომელიც ინფორმაციის ჯგუფის ყველა წევრისგან მიღებასა და გაზიარებას ემსახურება; მოსწავლეები ფურცელზე პასუხებს წერენ, აწვდიან მათგან მარჯვნივ მყოფ თანაკლასელს, პასუხი გადააქვთ მათთვის გადმოცემულ სხვა ფურცელზე და ა.შ. პროცესი გრძელდება იქამდე, სანამ მოსწავლეები ხელმეორედ არ მიიღებენ საწყის ფურცელს, რასაც ჯგუფის ლებრიფინგი მოჰყვება.</p>

43. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი მონაცემთა რვეულები	მონაცემთა რვეული მოსწავლეების დამხმარე ხელსაწყოა, რომლის მეშვეობითაც ისინი სწავლების პროცესს თვალყურს ადევნებენ. „საით მივდივარ?“ „სად ვარ ამჟამად?“ როგორ მივიღე დანიშნულ წერტილამდე?“
44. გაულაწუნე	მასწავლებლის მიერ დასმულ კითხვებზე სწორი პასუხების გასაცემად მოსწავლეებს ორ გუნდად ყოფენ. ბუზის საკლავი ჯოხის გამოყენებით, ისინი კედელზე განთავსებულ სწორ პასუხებს ულაწუნებენ.
45. თქვი რამე	მოსწავლეები რიგ-რიგობით ხელმძღვანელობენ ჯგუფურ დისკუსიებს კითხვისა თუ ვიდეომასალის სექციათა გარჩევაში
46. შეავსე აზრებით	სტრატეგიის გააზრების დონის წერილობითი ფორმით შემოწმება, სადაც მოსწავლეებს გამოტოვებული სიტყვების ცარიელ ადგილებში ჩასმა ევალებათ. (ცვლილების ნორმას სხვაგვარად _____ ან _____ მოიხსენიებენ)
47. წრე/სამკუთხედები/ოთხკუთხედი	იდეა/აზრი რომლებიც ჯერ კიდევ თავში გიტრიალებს (სამკუთხედი); იდეა/აზრი რომელიც გონებაში გამოარჩიე (ოთხკუთხედი); იდეა/აზრი რომელიც შენი აზროვნების მიმართულებას კარგად შეერწყა.
48. ABCD ჩურჩული	მოსწავლეები ოთხწევრიან ჯგუფებად უნდა განაწილდნენ, სადაც პირველს A, მეორეს B, მესამეს C, მეოთხეს კი D ერქმევა. თითოეულ მათგანს ავალებენ, დაფიქრდნენ ამა თუ იმ ცნებაზე და თავიანთი ინტერპრეტაციები ვიზუალური ფორმით გადმოსცენ. ამის შემდეგ ისინი პასუხებს ჯგუფის სხვა წევრებს გაუზიარებენ, რაც ზიგზაგის მსგავს პატერნს ჩამოაყალიბებს.
49. ხახვის რგოლები	მოსწავლეები შიდა და გარე წრეს ქმნიან და თითოეული მათგანი სახით პარტნიორისკენ ტრიალდება. მასწავლებელი კითხვას სვამს და მოსწავლეებს, პარტნიორების წინაშე, წინასწარ განსაზღვრულ დროში მათზე პასუხის გაცემა ევალებათ. ამის შემდეგ შიდა წრიდან ერთი მოსწავლე მარცხნივ ტრიალდება. მასწავლებელი მომდევნო კითხვაზე გადადის და ციკლი კიდევ ერთხელ მეორდება.
50. თანაგამოკითხვა	ურთიერთგამოკითხვა მასწავლებელსა და მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, შერჩეული ნაწყვეტის წაკითხვის შემდეგ, ერთმანეთს თავიანთი კითხვები დაუსვან. ურთიერთგამოკითხვის სტრატეგიის დანერგვა შესაძლებელია რომანებთან ან განმარტებით მასალასთან ურთიერთობისას. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა სტრატეგია სხვადასხვა ჟანრების სპეციფიკათა გათვალისწინებით შეიმუშავოს. ტექსტის შერჩეულ მონაკვეთს მოსწავლეები და მასწავლებელი ჩუმად კითხულობენ. განსხვავებით მასწავლებლის ხელთ არსებული ტექსტისგან, მოსწავლეებს შეუძლიათ წიგნი გადამოიღონ დატოვონ. ამის შემდეგ მოსწავლეებს შეუძლიათ მასწავლებელსა და სხვა თანაკლასელებს წაკითხული ტექსტის შესახებ კითხვები დაუსვან. მასწავლებელი ყველანაირად ცდილობს, პასუხები უკლებლივ ყველა კითხვას გაეცეს. ამის შემდეგ მასწავლებელი და მოსწავლეები როლებს ცვლიან. მოსწავლეები წიგნებს ხურავენ და მასწავლებელი გავლილი მასალის შესახებ ინფორმაციის მოსწავლეებისგან მიღებას ცდილობს. პროცესი გრძელდება იქამდე, სანამ მოსწავლეებს საკმარისი ინფორმაცია არ დაუგროვდებათ იმისათვის, რათა ლოგიკურად განსაზღვრონ, რა იმალება შერჩეული ტექსტის იმ ნაწილში, რომელიც ჯერ არ წაუკითხავთ. ამის შემდეგ მოსწავლეები მასალას ბოლომდე კითხულობენ.
51. ვიცოდი მსურს ვისწავლო-ვისწავლე & ვიცოდი-მსურს ვისწავლო-ვისწავლე+	ჯგუფებში, მცირე ჯგუფებში ან ინდივიდუალურად მომუშავე მოსწავლეები თემას ეხმაურებიან იმის მიხედვით, თუ „რა იცოდნენ, რისი სწავლა სურთ და რა ისწავლეს“. პლუსი (+) მოსწავლეებს ავალებს, შეძენილი ცოდნის ორგანიზება ცნებითი რუკის ან საკვანძო ინფორმაციის შემცველი გრაფიკული მაორგანიზებლის მეშვეობით მოახდინონ. ამის შემდეგ თითოეული მოსწავლე შემაჯამებელ პარაგრაფს წერს იმის შესახებ, რაც ისწავლა.
52. გუნდური კითხვა	მოსწავლეები ტექსტში ნიშნავენ იმ ადგილებს, რომლებიც აღწერს კონცეპტს. მონიშნულ ტექსტს ერთდროულად კითხულობენ ხმამაღლა.

<b>53. სოკრატესული სემინარი</b>	მოსწავლეები ერთმანეთს უსვამენ შეკითხვებს საკითხის, წაკითხული ტექსტის შესახებ. კითხვებზე პასუხების საშუალებით დგება დისკუსია, რომელსაც მოჰყვება დამატებითი შეკითხვები.
<b>54. გაზეთის სტატიის სათაურები</b>	შექმენით გაზეთის სტატიის სათაური, რომელიც გამოდგებოდა იმ საკითხის აღწერისთვის, რომელსაც კლასში გავდივართ.
<b>55. ნომრების მინიჭება</b>	მოსწავლეები იყოფიან ჯგუფებად და ჯგუფის თითოეულ წევრს ენიჭება ნომერი. მასწავლებელი სვამს პრობლემას და მოსწავლეები ჯგუფში განიხილავენ მას. ამის შემდეგ მასწავლებელი ასახელებს ციფრს და ამ ციფრის მქონე მოსწავლე პასუხისმგებელია ჯგუფში განხილული დისკუსიის კლასისთვის გაზიარებაზე.
<b>56. გასეირნება გალერეაში</b>	<p>მას შემდეგ, რაც ჯგუფებში დაყოფილი მოსწავლეები გამოთქვამენ საკითხის შესახებ იდეებს, ისინი დააქვთ ფურცელზე და ერთ-ერთ მოსწავლეს ტოვებენ ხელმძღვანელად. ჯგუფის დანარჩენი წევრები დადიან ოთახში და ეცნობიან სხვა ჯგუფების იდეებს. ამის შემდეგ ჯგუფები უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს და სხვების იდეებს განიხილავენ, რათა ადგილზე დარჩენილმა ხელმძღვანელმაც გაიგოს სხვა ჯგუფების იდეები.</p> <p>მოსწავლეების ურიგდებით ფერადი ფანქრები და დიდი ფორმატის ფურცლები, რომლებზეც გრაფიტის სახით გადმოსცემენ თავიანთ იდეებს. ამის შემდეგ ერთმანეთის ნამუშევრებს ათვალიერებენ.</p>
<b>57. ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარი</b>	მოსწავლეს ეძლევა ერთი თავი წასაკითხად და დავალება, რომ მოიფიქროს ერთი შეკითხვა და ერთი კომენტარი. წაკითხვის შემდეგ მოსწავლეები იკრიბებიან მცირე ჯგუფებში ან მართავენ ერთობლივ დისკუსიას. თითოეული მოსწავლე აზიარებს მინიმუმ ერთ შეკითხვას და ერთ კომენტარს. მოსწავლეები მორიგეობით პასუხობენ კლასელის შეკითხვას და სვამენ თავის შეკითხვას. რადგანაც აქტივობაში მთელი კლასია ჩართული, ყველა მოსწავლეს აქვს საშუალება ჩაერთოს დისკუსიაში და გამოთქვას ვარაუდი წაკითხული ტექსტის შესახებ.